საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოლხეთის ბარი

კოლხეთის ბარი, საქართველოს მთათაშორისი ბარის დასავლეთი ნაწილი. მოიცავს კოლხეთის დაბლობს, მიმდებარე დას. კავკასიონის სამხრ. მთისწინეთს (მიუსერის მაღლობი, გუმიშხის მთის ზღვისპირა ზოლი, აფიანჩის სერი ჩხალთის ქედზე, სოხუმის გორაკ-ბორცვიანი ზღვისპირა ვაკე, წებელდის ტაფობი და მის ირგვლივ აღმართული მთები, ოდიშის პლატო, ურთაბის და ეკო-აბედათის სერები და სხვ.), იმერეთის მაღლობს (ლიხისა და გედსამანიის ქედებით) და მის დას. ექსპოზიციის კალთებს, აგრეთვე მესხეთის ქედის ჩრდ. განშტოებების (ნებოძირი, სანისლია, ზოდისწვერი და სხვ.) 400–600 მ სიმაღლის გორაკ-ბორცვიან ზოლს.

კ. ბ-ის რელიეფი ტექტონ. მოძრაობის ფ ონზე ჩამოყალიბდა. მისი ცენტრ. ნაწილი დაძირვის ზონას წარმოადგენს და მდინარეთა აკუმულაციური მოქმედების შედეგად წარმოიქმნა. 400–600 მ სიმაღლის გორაკბორცვიანი ზოლი ძირითადად აგებულია მესამეული პერიოდის დანალექი წყებებით, ალაგ-ალაგ – ცარცული პერიოდის კირქვებით.

ზ. ჯანელიძე